საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4757
25/08/2022

4757-21-2-202208251504

შპს „აისს“
მის: ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი,
დიდუბის დასახლების ქ. #13, შენობა N1
ელ. ფოსტა: tmatitashvili@ais-georgia.ge;
ntevdorashvili@ais-georgia.ge.

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №380 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, მდ. ფარავანსა და მდ. კორხზე 9.1 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ახალქალაქი ჰესის“ (ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2), 35 კვ. ქვესადგურის და ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებას თან უნდა ერთოდეს საპროექტო ნაპირსამაგრი ნაგებობების Shp ფაილები;
- სკრინინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს საპროექტო ნაპირსამაგრი ნაგებობების პარამეტრების შესახებ ინფორმაცია;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს საპროექტო თევზსავალის, დილისკას ხევის გადაკვეთაზე გათვალისწინებული წყალგამტარი ნაგებობისა და საპროექტო ნაპირსამაგრი ნაგებობების GPS კოორდინატები;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების შესახებ, ასევე დასაზუსტებელია გამოსაყენებელი ტექნიკის შესახებ ინფორმაცია (რაოდენობისა და ტიპის მითითებით);
- დაზუსტებას საჭიროებს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში წარმოქმნილი გრუნტის მოცულობისა და შემდგომი მართვის საკითხი;

- დაზუსტებას საჭიროებს ნარჩენების მართვის გეგმის შესახებ ინფორმაცია, ასევე ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენებისა (სახეობები და რაოდენობა) და შემდგომი მართვის საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო